განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## გლობალური და უსაფრთხოების სწავლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

## შპს ''საქართველოს უნივერსიტეტი''

შეფასების თარიღი: 17 ივლისი, 2020წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 9 სექტემბერი, 2020წ.

თბილისი
2020წ.

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“ |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205037137 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | გლობალური და უსაფრთხოების სწავლებები |
| განათლების საფეხური | (უმაღლესი განათლების მეორე)- მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | 1. უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი;<br>2. დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი<br>0312 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ზურაბ აგლაძე, ეროვნული თვდაცვის აკადემია, საქართველო. |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით ბრაგვაძე, კავკასიის უნივერსიტეტი. საერთაშორისო საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მალხაზ გაგუა, შავიზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეთერ ხანჯალიაშვილი, კავკასიის საერთაშორისო უნივერისტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

გლობალური და უსაფრთხოების სწავლების სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს უნივერსიტეტის მიერ, სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი კანონდებლობა კრძალავს ორი კვალიფიკაციის მინიჭებას, პროგრამა სააკრედიტაციო ცენტრშიშემოვიდა 2020 წლის 27 ინვარს, ანუ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისა და უმაღლესი საგამნმანათლებო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების და საფასურის დამტკიცების შესახებ" დოკუმენტში ცვლილებების ასახვამდე. შესაბამისად განცხადების შემოტანის დროს მოქმედი დებულების მიხედვით სამაგისტრო საფეხურზე არ იყო შეზღუდვა 2 კვალიფიკაციის მინიჭებაზე.

- პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს კომპლექსურად, თანამედროვე მეთოდის გამოყენებით დაეუფლონ, როგორც უსაფრთხობა/თავდაცვის აგრეთვე გლობალური მმართველობა საერთშორისო ინსტიტუტების შემავალ საკითხებს.
- პროგრამა უსაფრთხოების და თავდაცვის საკითხებთან ერთად, გულისხმობს მომიჯნავე დისციპლინებიდან სხვადასხვა თემატიკების სწავლებას, მათ შორის პოლიტიკური იდეოლოგიების, ლიდერობისა და ეკონომიკის.
- პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს, როგორც დარგობრივი ცოდნა, რომელიც დაეხმარება მას გააცნობიეროს უსაფრთხოების როლი სახელმწიფო მართვის სისტემაში ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. ასევე დაეხმაროს სტუდენტებს საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოების სისტემის წინაშე არსებული ტრადიციული და თანამედროვე რისკების და საფრთხეების განსაზღვრასა და გააანალიზებაში, შემდგომ კი რისკების მართვისა და გამოწვევებთან გამკლავების მექანიზმების გაცნობიერებაში.
- პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია თანამედროვე და ინოვაციური სწავლების მეთოდები, რომლებიც მიმართულია სტუდენტებს სტრატეგიული აზროვნების უნარის განვითარებისკენ და ეთიკური სტანდარტების, ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის დაცვისა და პატივისცემის მნიშვნელობის უნარის გამომუშავებისკენ. ასევე უნივერსიტეტი, სამეცნიერო კვლევისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნითა და პრაქტიკული უნარების განვითარებით, აძლევს სტუდენტებს საერთაშორისო შრომის

ბაზარზე არსებული ტენდენციების შესაბამის განათლებას, რაც მნიშვნელოვნად გათვალისწინებულია პროგრამის როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 17 ივლისს. ვიზიტამდე, 16 ივლისს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით მოხდა ექსპერტთა ჯგუფის ონლაინ რეჟიმში თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

17 ივლისსშპს ''საქართველოს უნივერსიტეტში ვიზიტი''-ს ფარგლებში 10:00 საათიდან 18:45 საათამდე მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან (ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსთან და მის მოადგილესთან, სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფის წარმომადგენლებთან (ხარისხის მართვის უფროსი, პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან. ასევე, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საერთაშორისო პოლიტიკა, უსაფრთხოება და თავდაცვის კონცენტრაციის მისანიჭებელი კვალიფიკაციასამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას შეფასებისასექსპერთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტებიდან 1,3,4 და 5 სტანდარტი სრულად შეესაბამაბება მოთხოვნებს, ხოლო 2 მეტწილად შეესაბამაბება მოთხოვნებს.

- **რეკომენდაციები**

  - გაიზარდოს სამაგისტრო ნაშრომის ზეპირი შეფასების წილი ან დადგინდეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

  - აღნიშნულ პროგრამას უნდა დაემატოს პრაქტიკის კურსი, თუნდაც არჩევით კომპონენტად, რათა კარიერული განვითარებისა და სამომავლო დასაქმებისთვის გამოიმუშაოს პრაქტიკული უნარები თეორიულ ცოდნასთან ერთად.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია პროგრამას დაემატოს შემდეგი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები:

- ჰიბრიდული ომები
- რუსეთის საგარეო პოლიტიკა

- სასურველია ყველა სილაბუსში იყოს აღნიშნული შუალედური და ფინალური გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი
- მაგისტრანტების ჩართულობის გაზრდა კონფერენციებში და მათი მოტივაციის ამაღლება კურიკულუმის გარე აქტივობებში ჩასართავად.  გარდა ამისა, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის როლის ზრდა მათი დასაქმების საკითხში.
- განისაზღვროს რეცენზირების განმახორციელებელი პირების სტატუსიან შეიცვალოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასები სისტება.
- სასურველია უნივერსიტეტის მიერ უფრო აქტიურად ხდებოდეს გარე ხარისხის შეფასების გამოყენება. ასევე სასურველია მისი სათანადო ასახვა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში.
- სასურველია გარე ექსპერტის შეფასება იყოს უფრო სიღმისეული და მასში მკაფიოდ ჩანდეს მეთოდოლოგია, რის საფუძველზეც ძირითადი დასკვნებია გაკეთებული.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - უნივერსიტეტი ინარჩუნებს კავშირს თავის კურსდამთავრებულებთან და აგრძელებს მათთან ინტენსიურ კომუნიკაციას. კურსდამთავრებულთა აზრის გათვალისწინება ხდება ახალი პროგრამების შემუშავების პროცესში.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

### პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br><br>გლობალური და უსაფრთხოების სწავლების სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს უნივერსიტეტის მიერ, სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ფარგლებში.<br>უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული პროგრამის მიზანია კუსდამთვრებულს მისცეს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში,ისევე, როგორც საერთაშორისო სისტემაში მოქმედი ორგანიზაციების და ინტიტუტების, მიმდინარე პროცესებისა და მოქმედი მექანიზმების სიღმისეული ცოდნა და გამოუმუშაოს პრობლემური საკითხების გადაჭრისთვის დამოუკიდებელი კვლევის წარომების უნარი.<br>"საერთაშორისო პოლიტიკა, უსაფრთხოება და თავდაცვა"- კონცენტრაციის მიზანია კურსდამთავრებულებს საერთაშორისო პოლიტიკისა და ურთიერთობის სფეროში გამოუმუშაოს უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების, წარმოების, თავდაცვის სფეროს, როგორც უსაფრთხოების სფეროს შემადგენელი ელემენტის ორგანიზების უნარი და საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების, ისევე, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის უსაფრთხოების და თავდაცვის საკითხებთან ურთიერთკავშირის დამოუკიდებლად კვლევის უნარი.<br><br>„საერთშორისო ინსტიტუტები და გლობალური მმართველობა“-ის კონცენტრაციის განხორციელების მთავარ მიზანს წარმოადგენს, „კურსდამთვრებულს გამოუმუშოს გლობალური პროცესებისა და კომპლექსური ხასიათის მოვლენების ანალიზის დროს საერთაშორისო ორგანიზაციების, ინსტიტუციური ჩაროებისა და სამართლებლივ-ნომრატიული მექანიზმების, მათი ეფექტურობის და სხვადასხვა დონეზე სოციო-ეკონომიკურ |

ფაქტორებთან მჭიდრო კავშირის დამუკიდებელი კვლევის უნარი“.

აღნიშნული მიზნების ორიენტირები სწორად არის გააზრებული უნივერსიტეტის მიერ და ადექვატურად არის ასახული პროგრამის მიზნებში. შესაბამისად უნივერსიტეტის ხედვა, ამოქმედდეს ისეთი სამაგისტრო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებში კვლევის, პროფესიული უნარების განვითარებას, მიმართულია ყველა ხელსაყრელი პირობის შექმნისაკენ, რაც საბოლოო ჯამში მისცემს სტუდენტებს ადგლობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციების შესაბამის განათლებას. პროგრამის კურსდამთავრებულთა დამსაქმებელი არის ადგილობრივი შრომის ბაზარი, რომლის კვლევა და შესწავლა განახორციელა უნივერსიტეტმა. პროგრამის შემუშავებისას გამოყენებული იქნა აგრეთვე ინსტიტუციების გამოცდილებები და მათი საჭიროებების დადგენა. შესაბამისად პროგრამაში გათვალისწინებულია ყველა ძირითადი მოთხოვნა, ინტერესი და პრიორიტეტი, რაც წარმოადგენს წინამდებარე სამაგისტრო პროგრამის შეთავაზების მიზეზს. პროგრამის მიზნები მიღწევადია. პროგრამა ხელს უწყობს კვალიფიციური, მტკიცე ეროვნული, ეთიკური და მორალური ღირებულებებითკურსდამთავრებულების მომზადებას, რომლებსაც შეუძლიათ თავისი წვლილი შეიტანონ, როგორც დარგის ისე საზოგადოების განვითარებაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- გლობალური და უსაფრთხოების სწავლებების სამაგისტრო პროგრამა;
- საქართველოს უნივერსიტეტის მისია;
- შრომის ბაზრის კვლევა
- დამსაქმებლების კვლევა
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებ გვერდი - www.ug.edu.ge

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

| |
|---|
| o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

| 1.2პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>გლობალური და უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი გათვალისწინებულ დონე 7-ის სწავლის შედეგებს და პასუხობს პროგრამის განხორციელების წინაშე მდგარ ძირითად მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგები ასევე იძლევა განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას, შეესაბამება რა სწავლის სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის აუცილებელ მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი გამჭვირვალეა. უნივერსიტეტში არსებობს აღნიშნული პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელთა გამოყენებითაც პროცესში |

მონაწილეობას იღებდა აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და პოტენციური დამსაქმებელი. უნივერსიტეტში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესი, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ინდიკატორები, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და ინსრტუმენტები, სამიზნე ნიშნულები, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ეტაპები. პროგრამის შექმნის პროცესში აქტიურად იყო ჩართული როგორც შიდა და გარე შეფასების ჯგუფები.

პროგრამის შემუშავების პროცესში განხილულ იქნა საერთაშორისო არენაზე არსებული ანალოგიური სამაგისტრო პროგრამები, კერძოდ:

- Linkoping University
- Universiteit Leiden
- Universitat Autonoma de Barcelona
- London School of Economics and Political Science LSE
- University of Kent, Brussels School of International Studies (BSIS)
- Durham University

მოხდა აღნიშნული პროგრამების დადარება მათთან. საგანმანათლებლო პროგრამის ორივე კონცენტრაციაზე სწავლის შედეგები გაზომვადი და მიღწევადია. ამავდროულად საქართველოს უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომლის მიხედვითაც ხდება სტუდენტების მიერ სილაბუსის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენა მათი აკადემიური მოსწრების ანალიზის გზით, რაც მოიცავს პროგრამის და სილაბუსის დონეზე მონაცემების დამუშავებას და პროცენტული განაწილების დინამიკის შეფასებას. არსებული მეთოდი საშუალებას იძლევა, რომ დადგინდეს, რამდენად რთული ან მარტივია სასწავლო კურსის პროგრამები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- გლობალური და უსაფრთხოების სწავლებების პროგრამა და სილაბუსები;
- შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგები;
- მომიჯნავე პროგრამის - საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის

სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი;

- სწავლის შედეგების რუკა;
- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

**■ესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და | X | | | |

| მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | | |
|---|---|---|---|---|

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე www.ug.edu.ge, გამომდინარეობს პროგრამაზე წარმატებული სწავლისთვის აუცილებელი საჭიროებებიდან, კერძოდ, გლობალური და უსაფრთხოების სწავლებების სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ბაკალავრის ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში, ინგლისური ენის (B2 დონე) და სხვა საკანონმდებლო მოთხოვნები. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეებმა უნდა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები. ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება, ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში, გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამის აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეძლებენ პროგრამაში ჩარიცხვას ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე ( № 224 / ნ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 29 დეკემბერი, 2011) ბრძანების თანახმად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>o უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, www.ug.edu.ge |

გლობალური და უსაფრთხოების სწავლებების სამაგისტრო პროგრამა

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

**შეფასება**

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

გლობალური და უსაფრთხოების სწავლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია შპს ‘‘საქართველოს უნივერსიტეტში’’ მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. ორივე კონცენტრაცია მოიცავს ცალ-ცალკე 120 ECTS-ს. საერთაშორისო პოლიტიკა,

| |
|---|
| უსაფრთხოება და თავდაცვა - კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში სტუდენტი გადის ამავე კონცენტრაციის ძირითადი საგნებს 78 კრედიტის ოდენობით, ხოლო დარჩენილ 42 კრედიტი შეუძლია აიღოს ამავე კონცენტრაციის არჩევითი საგნებიდან ან/და საერთაშორისო ეკონომიკის ასარჩევი საგნების ბლოკიდან ან/და საერთაშორისო ინსტიტუტები და გლობალური მმართველობის ასარჩევი საგნებიდან.<br>მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „საერთშორისო ინსტიტუტები და გლობალური მმართველობა“-ის კონცენტრაციის განხორციელების მოიცავს 120 ECTS კრედიტს, *საერთაშორისო ინსტიტუტები და გლობალური მმართველობა*კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში სტუდენტი გადის ამავე კონცენტრაციის ძირითად საგნებს 60 კრედიტის ოდენობით,30 კრედიტი ეთმობა სამაგიტრო ნაშრომს, ხოლო დარჩენილ 30 კრედიტს იღებს ამავე კონცენტრაციის ასარჩევი საგნებიდან ან/და საერთაშორისო პოლიტიკა, უსაფრთხოება და თავდაცვის კონცენტრაციის ასარჩევი საგნებიდან ან/და საერთაშორისო ეკონომიკის ასარჩევი საგნების ბლოკიდან პროგრამაში ცალკეული კომპონენტები ხორციელდება ინგლისურ ენაზე.<br>საგანმანათლებლო პროგრამას დართული აქვს სწავლის შედეგების რუქა, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან. პროგრამის შინაარსი და მისი სტრუქტურა იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. სასწავლო კომპონენტებზე დაშვების წინაპირობა გამომდინარეობს მომდევნო კურსის/კომპონენტის დაძლევის შესაძლებლობიდან, რაც პროგრამას ხდის ლოგიკურად აგებულს. პროგრამის შექმნის პროცესში პროგრამის განმავითარებელი პერსონალისათვის მიცემული იყო სრული აკადემიური თავისუფლება. შესაბამისად პროგრამა არის მულტიდისციპლინური და შედგენილია ჰოლისტიკური პრინციპით, რაც კიდევ უფრო საინტერესოს და მრავალფეროვანს ხდის მას. სილაბსებში გამოყენებულია ახალი ლიტერატურა და ელექტრონული რესურსი. პროგრამაში გამოყენებულია თანამედროვე სწავლა-სწავლების მეთოდები, რომელიც ერთ-ერთი განმაპირობებელია ფაქტორია სწავლის შედეგების მიღწევისათვის. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

- გლობალური და უსაფრთხოების სწავლებების სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- სწავლის შედეგების რუკა
- საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება
- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია პროგრამას დაემატოს შემდეგი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები:

- ჰიბრიდული ომები
- რუსეთის საგარეო პოლიტიკა

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

**☒შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის

| |
|---|
| შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სამაგისტრო პროგრამა „გლობალური და უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა“ შედგება ისეთი სასწავლო კურსებისგან, რომლებიც ხელს უწყობენ სტუდენტს სხვადასხვა უნარ ჩვევების განვითარებას. პროგრამაში გათვალისწინებულია ის ძირითადი სასწავლო კურსები, რომელიც აუცილებელია შესაბამისი პროფილის საგანმანათლებლო პროგრამისთვის. სასწავლო კურსები შემდეგი ლოგიკური თანმიმდევრობითაა მოცემული: 1) კურსები, რომელიც ხელს უწყობს უსაფრთხოების კუთხით განათლების ამაღლებას და გაფართოებას; 2) კურსები, რომლებიც ორიენტირებულია საბაზო განათლების გაღრმავებაზე; 3) კურსები, რომლებიც ემსახურება კვლევის მიმართულების გაძლიერებას. მთლიანობაში ორივე კონცენტრაციაში მოცემული სასწავლო კურსები ორიენტირებულია დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენებაზე. პროგრამაში სასწავლო კურსები წარმოდგენილია თანდათანობითი გართულების პრინციპის დაცვით. პროგრამის სილაბუსებში მოცემული თემატური საკითხები, კრედიტების რაოდენობა შეესაბამება სასწავლო კურსის შედეგებს, იგი თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია ინფორმაცია სასწავლო კურსების კრედიტის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების, კურსების მიზნის და შედეგების შესახებ. ასევე, კურსების თემატიკის გათვალისწინებით დაკონკრეტებულია შეფასების სისტემა და სწავლების მეთოდოლოგია. საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.ასევე ადეკვატურია საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა, ადეკვატურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და დაფუძნებულია აქტუალურ მიღწევებზე. შესაბამისად, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. |

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o გლობალური და უსაფრთხოების სწავლებების პროგრამა და სილაბუსები;<br>o სწავლის შედეგების რუკა |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>■ **ესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>გლობალური და უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული და სამეცნიერო კვლევების უნარების განვითარებას უნივერიტეტში არსებული სხვადასხვა ინსტრუმენტების ფარგლებში. თუმცა თვითონ პროგრამის ორი კონცენტრაციიდან არც ერთი არ შეიცავს  პრაქტიკის გავლის კომპონენტს. შესაბამისად, |

პროგრამას არ აქვს პრაქტიკის გავლის წესი და შეფასება.

სასურველია, პროგრამაში სავალდებულო კურსად იქნას შეტანილი ცალკე მდგომი პრაქტიკის კომპონენტი. ამ მოდელზე აქცენტის გაკეთება განაპირობა სასწავლო კომპონენტების თეორიული და პრაქტიკული უნარების აუცილებელმა ფლობამ. სტუდენტები პრაქტიკის ობიექტზე ჯერ იმყოფებიან დამკვირვებელთა როლში შემდეგ კი გადადიან უშუალოდ ქმედით პრაქტიკაზე. პრაქტიკა სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, სრულად გააცნობიეროს უსაფრთხოების სფეროს სპეციფიკა და მნიშვნელობა, განივითაროს თეორიული და პრაქტიკული სწავლების შედეგად ჩამოყალიბებული უნარები, შეიძინოს აკადემიურ გარემოში მოპოვებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება. მოქნილია სისტემა სპეციალობით მომუშავე მაგისტრანტისთვის, მას უფლება აქვს პრაქტიკა გაიაროს იმ დაწესებულებაში, რომელშიც ის მუშაობს.

პროგრამის ფარგლებში ორივე კონცენტრაციაზე გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც კვლევითი ხასიათისაა. სამაგისტრო ნაშრომის მომზადება ხდება სწავლების ბოლო სემესტრში და იგი არის ამ პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სავალდებულო კომპონენტი. იგი წარმოადგენს თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ნაშრომს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების მიერ სხვადასხვა დისციპლინებში მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას. პროგრამის სწავლის შედეგები აქცენტს აკეთებს იმ ცოდნაზე, უნარებზე და პასუხისმგებლობებზე რომელიც აუცილებელი წინაპირობაა კვლევითი კომპონენტის განხორციელებისათვის. სამაგისტრო ნაშრომის მომზადების და დაცვის პროცესი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა, რათა შემოწმდეს სამაგისტრო პროგრამით სწავლისას მიღებული უნარ-ჩვევები და მისი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობები. სტუდენტების კვლევით პროექტში ჩართვას ხელს უწყობს ინივერსიტეტის ეგიდით გამართული სამეცნიერო კონფერენციები, მათ შორის საერთაშორისოც. უნივერსიტეტში ტარდება არაერთი ლოკალური და საერთაშორისო კონფერენცია პერსონალის და სტუდენტების მონაწილეობით.

უნივესტიტეტი უზრუნველყოფენ სტუდენტის ინფორმირებულობას როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მიმდინარე მისი სფეროსთვის რელევანტური სამეცნიერო პროექტების, საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობებისა და გაცვლითი პროგრამების თაობაზე.

სტუდენტს შესაძლებლობა აქვს გამოაქვეყნოს სტატიები უნივერსიტეტის ინგლისურენოვან სამეცნიერო ჟურნალში(Caucasus Journal of Social Science).

ბუნებრივია სამეცნიერო ხასიათის აქტივობები ხელს უწყობს სტუდენტების კვლევითი და

ანალიტიკური კომპეტენციების და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამაშ,ორივე კონცენტრაციაზე სხვადასხვა სასწავლო კურსების ფარგლებში გამოიყენება წერითი საშინაო დავალებების, ქეისების, რეფერატების და სხვა პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშემწყობი აქტივობები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება;
- ERASMUS+
- ევროპის პოლიტიკის კვლევის კონსორციუმისწევრობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- შესაბამისი სამსახურების სამუშაოს აღწერები;
- მემორანდუმები.

**რეკომენდაციები:**

აღნიშნულ პროგრამას უნდა დაემატოს პრაქტიკის კურსი, თუნდაც არჩევით კომპონენტად, რათა კარიერული განვითარებისა და სამომავლო დასაქმებისთვის გამოიმუშაოს პრაქტიკული უნარები თეორიულ ცოდნასთან ერთად.

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐ესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **ტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 2.5სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

გლობალური და უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა ეფუძნება ისეთი სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფს მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის და უნარების მიღწევას.

სწავლის შედეგების მიღწევის კუთხით საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითადად გამოყენებულია თითქმის ყველა აქტიური სწავლის მეთოდები. პროგრამაში გამოყენებულია ისეთი სწავლების მეთოდები, როგორიცა ინტერაქტიული ლექციები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი,წიგნზე მუშაობის მეთოდი, შესაბამისი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში, სიმულაცია, კრიტიკული ანალიზი, პრეზენტაციების წარდგენა, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, შემთხვევის შესწავლა და ანალიზი. წარმოდგენილი მეთოდების შესაბამისი აქტიობები აღწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.უნდა აღინიშნოს, რომ გამოყენებული მეთოდოლოგია მთლიანობაში ადეკვატურია მოცემულ სამაგისტრო პროგრამასთან და შეესაბამება სწავლების საფეხურს, მისაღწევ სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. გარდა ამისა, ერთ-ერთ ძლიერ მხარედ შეიძლება აღინიშნოს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ცოდნა და გამოცდილება ამ კუთხით, რადგანაც მათ უშუალოდპროგრამის შემუშავების პროცესში გამოიყენეს დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილება, განათლების მეცნიერებებისა და პედაგოგიკის განვითარების უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული მიდგომები (გამომდინარე იქედან, რომ ყველა მათგანს მოუწია სხვადასხვა პროგრამებზე სწავლა საზღვარგარეთის წამყვან სასწავლებლებში, რომლებიც უშუალოდ იყენებდნენ ზემოთჩამოთვლილ სწავლის მეთოდებს. შესაბამისად ზუსტად აქვთ პროგრამაში და სილაბუსებში ჩამოყალიბებული საჭირო სწავლის შედეგები და მათი მიღწევის გზები სწორი სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. პროფესორის მიერ კონკრეტული მეთოდის ან მეთოდთა კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია შესაბამისი სასწავლო/კვლევითი კომპონენტით დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე, რაც

დეტალურადაა აღწერილი შესაბამის სილაბუსებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სწავლების მეთოდების სახელმძღვანელო;
- გლობალური და უსაფრთხოების სწავლებების სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

**■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**

სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, და საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალ კომპონენტიანი და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკებისგამოყენებით. პროგრამის ფარგლებში, ორივე კონცენტრაციაზე, თითოეულ კურსში მიზნობრივად გამოყენებულია მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემა. უნივერსიტეტს აქვს საერთო შიდა ელექტრონული სისტემა, რომელშიც სტუდენტს აქვს შესაძლებლობა თვალი ადევნოს მის შეფასებებს მთელი სემესტრის მიმდინარეობას, საჭიროების შემთხვევაში კი უნივერსიტეტი აძლევს საშუალებას სტუდენტს ინდივიდუალური კონსულტაციების, მათი შედეგებისა და მიღწევების გაუმჯობესების მიზნით.

საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების შემდეგი ინდექსური სისტემა და მაჩვენებლები:

დადებითი შეფასებები:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების– 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – -მაქსიმალური შეფასების 51-60 %;

უარყოფითი შეფასებები:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%;
- (F) ჩაიჭრა -მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები;

სტუდენტს უფლება აქვს ერთი და იგივე სასწავლო კურსი გაიაროს რამოდენიმეჯერ.

ასევე უნივერსიტეტში მოქმედებს საშუალო აკადემიური შეფასები GPA-ს სისტემა, რომელიც ექვივალენტურია სტუდენტის მიერ სხვადასხვა კურსში მიღებული ნედლი ქულის. სწორედ მისი ანალიზის საფუძველზე ხდება სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიცემა და GPA-ს

გაუმჯობესებისთვის შესაბამისი გზების დასახვა და გეგმის შემუშავება.

პროგრამის შემაჯამებელ დოკუმენტს წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც კრავს სტუდენტის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, ასევე აღნიშნული კომპონენტი უზრუნველყოფს სტუდენტის კვლევითი უნარების დემონსტრირებას.

